ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02. 3723360001**
თარიღი:**26/12/2023**

# დასკვნა

## საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ" განიხილა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების საკითხი და აღნიშნავს:

1, პროექტები მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია-ექსპლოატაციას და სახლმუზეუმების რეაბილიტაციას.

2, წარმოდგენილი პროექტით განხორციელდება სოფელ ნატანებში 1140 გრძივი მეტრი ცენტრალურის გზის რეაბილიტაცია (ღირებულებით 2 159 780 ლარი). ასევე განხორციელდება სოფელ ცხემლისხიდში ,,გიორგი სალუქვაძის" სახლმუზეუმის რეაბილიტაცია (ღირებულებით 118915,43 ლარი) და სოფელ დვაბზუში ,,შალვა რადიანი" სახლმუზეუმის რეაბილიტაცია (ღირებულებით 262437 ლარი).

აღნიშნული პროექტები მნიშვნელოვანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის. განხორციელდება ექსპლოატაციისათვის ფაქტობრივად უვარგისი გზის რეაბილიტაცია. აღმოიფხვრება დისკომფორტი, რომელიც მოსახლეობას აქვს მოუწესრიგებელი გზის გამო. აღდგება და განახლდება სახლმუზეუმები, რაც ხელს შეუწყობს გურული ტრადიციების აღდგენასა და პოპულარიზაციას.

კომისია მხარს უჭერს ზემოთ აღნიშნული პროექტების მოწონების საკითხს საკრებულოს სხდომაზე.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი